ბორცვების რისკები

საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში

Supported by

Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია **Luminate**-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს **Luminate**-ის პოზიციას.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 3
ჭიდაობის ფედერაციაში კორუფციისა და ფინანსების არამიზნობრივი განკარგვის რისკები4
შესავალი 5
2015-2018 წლებში გაწეული ხარჯების ანალიზი 6
ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფინანსური ანგარიშები 8
სპორტსმენების ნაჩვენები შედეგებისთვის დაწესებული ფულადი ჯილდოების განკარგვის პრაქტიკა 17
ანტიდოპინგურ შემოწმებაზე „ჩავარდნილ“ მოჭიდავეზე გაცემული ფულადი პრიზები 20
დასკვნა 26

ძირითადი მიგნებები

- **2015-2018 წლებში საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაზე სპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამიდან და სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისთვის გამოყოფილი თანხის ჯამურმა ოდენობამ დაახლოებით 30 მლნ. ლარი შეადგინა.**

- **ჭიდაობის სახელმწიფო პროგრამის ფინანსური ანგარიშები, არ არის თანხვედრაში სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებთან. მაგ. 2017 წელს მოწოდებულია მხოლოდ 782,785.38 ლარის ოდენობის ფაქტიური ხარჯების შესახებ ინფორმაცია, მაშინ როდესაც სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 3,500,000 ლარი.**

- **სამინისტროს მიერ ოფიციალურად მოწოდებული ფინანსური დოკუმენტაციით სამინისტროს მიერ გადარიცხულ, ფედერაციის მიერ დახარჯულ და უკან დაბრუნებულ თანხებს შორის ბალანსი არ არის დაცული. მაგალითად, 2017 წლის დოკუმენტაციის მიხედვით სამინისტროს მიერ ფედერაციისთვის გადარიცხულია 1,786,835 ლარი, საიდანაც ფაქტობრივი ხარჯი გაწეულია - 782,785.38 ლარი, უკან დაბრუნდა 173,001.62 ლარი, ხოლო დანარჩენი 831,048.0 ლარის შესახებ ინფორმაცია არ არის მოწოდებული.**

- **ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე მოწვეული მსაჯებისათვის გადახდილი თანხები ფინანსურ ანგარიშებში დაანგარიშებულია დღიურად 100 ლარი, ხოლო ხელშეკრულებაში და მიღება ჩაბარების აქტებში დღიურად 100 აშშ დოლარი.**

- **თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეების სპორტული ფორმების საქართველომდე ტრანსპორტირებაში ფედერაციამ 12,517 ლარი გადაიხადა, ხოლო ადგილობრივ ტრანსპორტირებაში, ანუ ქალაქ თბილისის საბაჟოდან ჭიდაობის ფედერაციის შენობამდე ეკიპირების ტრანსპორტირებაში - 8,276 ლარი.**

- **შეჯიბრისთვის საჭირო ინვენტარის მოწყობისთვის ჭიდაობის ფედერაციამ დაიქირავა ამავე ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი.**

- **თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგებისათვის, ადმინისტრაციული ჯგუფისთვის გათვალისწინებული 63,580 ლარიდან, ყველაზე დიდი ფულადი ჯილდო (12,980 ლარი) დაერიცხა ფედერაციის ფინანსურ მრჩეველს.**

- **2018 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე ადგილოსანს ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის ჩამოერთვა ბრინჯაოს მედალი და მისი ჩამორთმევიდან დაახლოებით 3 თვის შემდეგ ამ შედეგისთვის დადგენილების შესაბამისად (სპორტსმენზე, მწვრთნელზე, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალზე) გაიცა 61,200 ლარის ოდენობის ფულადი პრიზები.**

ჭიდაობის ფედერაციაში კორუფციისა და ფინანსების არამიზნობრივი განკარგვის რისკები

- **საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, პირდაპირ არ ვრცელდება სპორტული ფედერაციებზე. შედეგად, ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია არ გასცემს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას და არ უზრუნველყოფს ფინანსურ გამჭვირვალობას.**

- **სამინისტრომ სრულყოფილად არ გასცა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ფინანსური ანგარიშები, რისი სამინისტროსთვის მიწოდების ვალდებულება ფედერაციას შესაბამისი ხელშეკრულებებით აქვს აღებული; მსგავსი ანგარიშების გასაჯაროებისგან თავის არიდება სამინისტროს მხრიდან გარკვეული ინფორმაციის დაფარვის სურვილზე ან/და ფედერაციის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობაზე მიუთითებს.**

- **ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ადმინისტრაციული ჯგუფისთვის გამოყოფილი თანხები პრემიის სახით ნაწილდება გაურკვეველი პრინციპით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ე.წ. „ატკატების“ რისკს.**

- **ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში არ განხორციელებულა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემოწმება, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს თანმიმდევრული ფინანსური კონტროლის შესაძლებლობებს და ზრდის კორუფციის რისკებს.**

- **ანტიდოპინგურ შემოწმებაზე ჩავარდნილი მოჭიდავეებისათვის ფულადი პრიზების გაცემის/ჩამორთმევის, საკითხები არ არის სამართლებრივად მოწესრიგებული, რაც ზრდის ფინანსების არამიზნობრივი განკარგვის რისკებს.**

- **კვლევის ფარგლებში შესწავლილი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ფინანსურ დოკუმენტაციაში გამოვლენილი ფაქტობრივი უზუსტობები, წარმოადგენს ფინანსური შეუსაბამობების მნიშვნელოვან რისკებს.**

- **ფედერაცია ცალკეულ შემთხვევებში შესაბამისი დოკუმენტაციის არ ქონის გამო, ვერ უზრუნველყოფს სამინისტროსათვის ფაქტიური ხარჯების მიწოდებას, რაც ფინანსური შეუსაბამობების მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს.**

შესავალი

ბოლო პერიოდში საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია არაერთხელ მოხვდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მოჭიდავეების და ამ სფეროში მოღვაწე პირების გარკვეულმა ჯგუფმა მედიას არაერთხელ გააცნეს ფედერაციაში საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი განკარგვის და ფედერაციის მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაცდომების სავარაუდო ფაქტები.

აღნიშნული გარემოებების გადამოწმების და მათი დეტალური შესწავლის მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) გამოითხოვა და გაანალიზა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2015-2018 წლებში გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და ფედერაციაში კორუფციის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები. კერძოდ, კვლევის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ გაანალიზებულია ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ფედერაციისათვის გამოყოფილი თანხების და სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისათვის დაწესებული ფულადი პრიზების განკარგვის პრაქტიკა.

კვლევას მნიშვნელოვნად ართულებდა, კვლევის მთავარი ობიექტი უწყების - საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გაუმჭვირვალობა, რომელიც IDFI-ს ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უპასუხოდ დატოვება. კერძოდ, ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციის მიერ უპასუხოდ დატოვებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშებს, სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისთვის გაცემულ ფულად ჯილდოებს და მწვრთნელებისათვის მისი გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, სპორტსმენთა გეგმიურ სამედიცინო შემოწმებებზე გაწეულ სამედიცინო ხარჯებს, გეგმიურ სანაკრებო შეკრებებზე გაწეულ ხარჯებს, ფედერაციის საშტატო ნუსხას და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას, დოპინგ შემოწმებასთან დაკავშირებულ სტატისტიკას.

კვლევის განხორციელება ძირითადად შესაძლებელი გახდა, საქართველოს, განათლების მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაციით. თუმცა, ცალკეული ინფორმაცია სამინისტროს მიერ მოწოდებული იყო არასრულყოფილად, რაც ერთის მხრივ შესაძლებელია განპირობებული იყოს სამინისტროს მიერ კონკრეტული ინფორმაციის დაფარვის სურვილით, ხოლო მეორეს მხრივ თავად სამინისტროსთვის ფედერაციის ფინანსურ ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომით.

2015-2018 წლებში გაწეული ხარჯების ანალიზი

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია სპორტის მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად იღებს გარკვეულ დაფინანსებას. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში **ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერისთვის** განსაზღვრული თანხები სრულად გაიცემა ფედერაციაზე სუბსიდიის სახით. ამასთან, 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით, სპორტულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგებისათვის გათვალისწინებულია ფულადი ჯილდოები, რომელზეც თანხები დამატებით უმეტესწილად გამოიყოფოდა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.

სამინისტროს ვებგვერდებზე[1] პროაქტიულად გამოქვეყნებული 2015-2018 წლების დაზუსტებული ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით, ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერისთვის ფედერაციას სამინისტროს ბიუჯეტიდან სულ გამოეყო 15,9 მილიონი ლარი, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა (5,6 მილიონი) გათვალისწინებული იყო 2018 წელს. კერძოდ, 2018 წელს სამინისტროს ბიუჯეტში ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის გეგმა იყო 4,5 მილიონი ლარი, რომელიც მოგვიანებით დაზუსტდა და შეადგინა 5,6 მილიონი. მიუხედავად ამისა, ფაქტიურმა ხარჯმა მაინც გადააჭარბა დაზუსტებულ მაჩვენებელს და დაახლოებით 6 მილიონი ლარი შეადგინა. 2018 წელს ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაწეული ფაქტიური ხარჯების, გეგმიურ მაჩვენებელთან დაახლოებით 1,5 მილიონი ლარით გადაჭარბება, განაპირობა სპორტულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგებისათვის გათვალისწინებული ჯილდოების მთავრობის სარეზერვო ფონდის ნაცვლად, სამინისტროს დაფინანსების ფარგლებში გაცემამ.

2015-2018 წლებში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის სახელით მოასპარეზე სპორტსმენების მიერ მიღწეული შედეგებისათვის სულ გამოიყო 13,778,180 ლარი. 2018 წლამდე მსგავსი თანხები ფინასდებოდა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ხოლო 2018 წელს დაფინანსდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან.

შედეგად, ბოლო 4 წლის განმავლობაში საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაზე სპორტის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამიდან და სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგებისთვის გამოყოფილი თანხის ჯამურმა ოდენობამ **დაახლოებით 30 მლნ ლარი** შეადგინა.

[1] 2015-2017 წლების მონაცემები აღებულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებგვერდიდან, ხოლო 2018 წლის მონაცემი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ვებგვერდიდან.

2015-2018 წლებში სამინისტროს ბიუჯეტიდან ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერისთვის გამოყოფილი და ათვისებული თანხები			
წელი	**გეგმა**	**დაზუსტება**	**ფაქტი**
2018	4,500,000	5,600,000	5,998,000.21
2017	3,500,000	3,500,000	3,088,000.8
2016	4,000,000	3,987,000	3,987,000.6
2015	2,500,000	2,850,000.7	2,820,000.5
შენიშვნა: 2017 წლის ფაქტი მოცემული მესამე კვარტლის მდგომარეობით			



ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფინანსური ანგარიშები

ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ძირითადი მიზანია ჭიდაობის განვითარება და მისი პოპულარობის ამაღლება. ეს პროგრამა ძირითადად ფარავს შემდეგ ხარჯებს: ჭიდაობის ფედერაციის ეგიდით დაგეგმილი ღონისძიებები, ეროვნული ჩემპიონატისა და ტურნირების ჩატარების ხარჯები, მომსახურე პერსონალისა და მსაჯების ანაზღაურება, ჭიდაობისათვის საჭირო სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენა, ჭიდაობის ნაკრების მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, ექიმების, და სხვა პერსონალის ანაზღაურება და სხვა.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ კონკრეტული ხარჯები გაიწევა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისად ფედერაცია ამ ხარჯებზე ანგარიშვალდებულია სამინისტროსთან. 2015-2018 წლებში ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების და ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშების მოთხოვნის პასუხად, განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ IDFI-ს მოაწოდა ფინანსური დოკუმენტაცია, სადაც ასახულია ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ღონისძიებისათვის სამინისტროს მიერ გადარიცხული თანხების, ფედერაციის მიერ გაწეული ფაქტიური ხარჯების და უკან დაბრუნებული თანხების შესახებ ინფორმაცია.

ფედერაციის მიერ ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების ჩამონათვალის დაჯამებით ირკვევა რომ, 2015 წელს ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 2,820,458.5 ლარს, 2016 წელს - 3,987,613.7 ლარს, 2017 წელს - 782,785.4 ლარს, ხოლო 2018 წელს - 6,047,460.2 ლარს. 2015 და 2016 წლების დაჯამებული მონაცემები, თანხვედრაშია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის შესრულების მაჩვენებლებთან, ხოლო 2017 და 2018 წლებში მსგავსი თანხვედრა არ ფიქსირდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2017 წელი, როდესაც სამინისტროს მიერ მოწოდებულია მხოლოდ 782,785.38 ლარის ოდენობის ფაქტიური ხარჯების შესახებ ინფორმაცია, მაშინ როდესაც სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 3,500,000 ლარი და მესამე კვარტლის მდგომაროებით ათვისებული თანხა უკვე 3 მილიონ ლარზე მეტი იყო.

გარდა იმისა რომ, მოწოდებულ დოკუმენტაციაში პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების ჩამონათვალი არ არის შესაბამისობაში სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელთან, იმავე დოკუმენტში სამინისტროს მიერ გადარიცხულ, ფედერაციის მიერ დახარჯულ და უკან დაბრუნებულ თანხებს შორის ბალანსი არ არის დაცული. მაგალითად, 2017 წლის დოკუმენტაციის მიხედვით სამინისტროს მიერ ფედერაციისთვის გადარიცხულია 1,786,835 ლარი, საიდანაც ფაქტობრივი ხარჯი გაწეულია - 782,785.38 ლარი, უკან დაბრუნდა 173,001.62 ლარი, ხოლო დანარჩენი **ხოლო დანარჩენი 831,048.0 ლარის შესახებ ინფორმაცია არ არის მოწოდებული.** 2018 წელს მსგავსი მონაცემები გვაძლევს 8,100 ლარის ოდენობის სხვაობას, ხოლო 2015-2016 წლებში ბალანსი დაცულია.

სამინისტროდან მოწოდებული ფინასური დოკუმენტაციის მიხედვით, ჭიდაობის ფედერაციის მიერ პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯები				
წელი	**გადარიცხული თანხა**	**დაბრუნებული თანხა (ეკონომია)**	**ფაქტობრივი ხარჯი**	**სხვაობა**
2018	6,456,849.83	417,489.69	6,047,460.22	**-8,100.08**
2017	1,786,835	173,001.62	782,785.38	**831,048**
2016	4,416,651.8	429,038.14	3,987,613.66	0
2015	3,087,823.03	267,364.5	2,820,458.53	0

2018 წელს ჭიდაობის ფედერაციამ ჯამში **6 მილიონ ლარზე მეტი ფაქტობრივი ხარჯი გასწია.** თუმცა სამინისტროდან მათთვის გადმორიცხული თანხა ხარჯზე მეტი იყო და ნარჩენი თანხა, **400 ათას ლარზე მეტი** მათ უკან დააბრუნეს. ჭიდაობის ფედერაციის მიერ გაწეულ ხარჯებს შორის, ყველაზე დიდი თანხა (2,792,301.9 ლარი) მოხმარდა სპორტსმენთა საწვრთნელ შეკრებებს. ჭიდაობის ჩემპიონატებსა და ტურნირებზე დაიხარჯა 2, 697, 228.8 ლარი, ხოლო სპორტული ტანსაცმლით ეკიპირებაზე 235,024.6 ლარი.



გაცილებით პრობლემურია **2017** წელი. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, მოცემულ წელს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ჯამურმა ხარჯმა **780 ათას ლარზე მეტი** შეადგინა. თუმცა სამინისტროს მიერ გადარიცხული თანხა 1 მილიონ 700 ათას ლარზე მეტია, უკან დაბრუნებული თანხა კი 173 ათას ლარს შეადგენს. შესაბამისად, ამ თანხებს შორის სხვაობა, 831 ათას ლარზე მეტის მიზნობრიობა გაურკვეველია. ანგარიშებში ჩანს მხოლოდ სამინისტროს მიერ ფედერაციისათვის თანხის გადარიცხვა, თუმცა არც შემდგომი ხარჯვა და არც უკან დაბრუნება ამ თანხის შემთხვევაში არ ფიქსირდება. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ჭიდაობის ფედერაციის მხრიდან დოკუმენტაციის არასრულად წარდგენა სამინისტროსათვის, ან სამინისტროს მიერ არასრული ანგარიშის მოწოდება IDFI-სთვის. ყველა იმ შემთხვევაში, სადაც მხოლოდ სამინისტროს მიერ გადარიცხული თანხაა მითითებული, ფიქსირდება ღონისძიების დასახელება, ხელშეკრულების ნომერი, თარიღი და მიმართვის წერილის ნომერი. თუმცა არსადაა მითითებული ფაქტობრივი ხარჯი. მითითებული ფაქტობრივი ხარჯების მიზნობრიობა კი შემდეგნაირად ნაწილდება:



2016 წლის ფაქტობრივმა ხარჯმა თითქმის **4 მილიონი ლარი** შეადგინა, ხოლო სამინისტროსთვის დაბრუნებულმა თანხამ 400 ათას ლარზე მეტი შეადგინა.



რაც შეეხება **2015** წელს, ფაქტობრივმა ხარჯმა **2 მილიონ 800** ათას ლარზე მეტი შეადგინა, სამინისტროსთვის დაბრუნებულმა თანხამ კი 260 ათას ლარს გადააჭარბა.



IDFI-იმ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან დამატებით გამოითხოვა ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ფედერაციასთან გაფორმებული სხვადასხვა ხელშეკრულების ასლები და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფედერაციის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები. IDFI-ს შერჩევით სამინისტროდან სულ მოთხოვნილ იქნა 2017-2018 წლებში დაფინანსებული 19 სხვადასხვა (მათ შორის, საწვრთნელი შეკრებები, საერთაშორისო ტურნირები და სპორტული ეკიპირების შესყიდვები და სხვ.) ღონისძიების შესახებ დეტალური ფინანსური ინფორმაცია.

მოწოდებული დოკუმენტაცია მოიცავს მხოლოდ 2017 წლის სამი ღონისძიების ფინანსურ ანგარიშებს, რაც არ გვაძლევს სრული სურათის დანახვის საშუალებას. მიუხედავად მცირე ინფორმაციისა, დოკუმენტების ანალიზმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოკვეთა. ასევე, გაურკვეველია დანარჩენი დოკუმენტაცია სამინისტროში ინახება და სამინისტრომ არ მოგვაწოდა, თუ ჭიდაობის ფედერაციას არ მიუწოდებია სამინისტროსთვის.

1. 13-15 თებერვალს, ქ. თბილისში ბ/რ სტილით ჭიდაობაში დიდებს შორის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

ფინანსური ანგარიშების დოკუმენტაციის თანახმად, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში დიდებს შორის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე 3 დღის განმავლობაში მოწვეული იყო 7 უცხოელი მსაჯი, რომელთა საერთო ანაზღაურებამ შეადგინა 2100 ლარი. სავარაუდოდ, თითოეულ მათგანს უნდა მიეღო 300 ლარი. თუმცა მსაჯებთან გაფორმებულ შვიდივე ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურება დღიურად 100 დოლარია, მიღება-ჩაბარების აქტებშიც ჩანს, რომ 3 დღის მომსახურების სანაცვლოდ თითოეულმა 300$-ის ექვივალენტი ლარში მიიღო. ფინანსური ანგარიშების დოკუმენტაციაში ასეთი ზუსტად 7 ხელშეკრულებაა წარმოდგენილი. საერთო ანგარიშში კი თითოეულ მსაჯზე 300 დოლარის ნაცლად, 300 ლარის ანაზღაურებაა დაანგარიშებული.

მომსახურების ხელშეკრულება

ქ. თბილისი 10 თებერვალი 2017 წელი

ერთის მხრივ, ააიპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია პრეზიდენტის სახით წოდებული: „შემკვეთი" და მეორეს მხრივ, -- -- --

- შემდეგი პრობლემა გამოიკვეთა სასტუმროს მომსახურების დოკუმენტებში. შპს "ათლეტიკი თ და ნ"-სთან დადებული ხელშეკრულება 2017 წლის **13 იანვრით** თარიღდება და მოიცავს მომსახურების გაწევას 13 ადამიანისათვის 13-15 თებერვალს და 7 ადამიანისათვის 15-16 თებერვალს.
  მომსახურების მიღების შემდეგ გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია რომ ხელშეკრულება 2017 წლის **13 თებერვალს** იყო დადებული და არა 13 იანვარს. სასტუმროს მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვის ერთ დანართზე მითითებულია **"განთავსება 13-30 იანვარი 2017 წელი"**.[2]

- შეჯიბრისთვის საჭირო ინვენტარის გადატანისათვის 1250 ლარის ღრებულების ხელშეკრულება 2017 წლის 13 თებერვალს გაფორმებულია დავით გრძელიშვილთან, რომელიც 2017 წელს ჭიდაობის ფედერაციაში გენერალური მდივნის თანამდებობას იკავებდა. მომსახურებაზე მიღება ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2017 წლის 13 თებერვალს, სადაც წერია, რომ დავით გრძელიშვილმა უზრუნველყო 13 თებერვალს შეჯიბრისთვის საჭირო ინვენტარის გადატანა და დაგება, ხოლო 15 თებერვალს - ალაგება და გადმოტანა.

- ღონისძიების გამართვისათვის საჭირო ფართზე იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია შპს "სპორტმშენსერვისთან". ხელშეკრულებაში გაწერილია ოლიმპიური სახლის ტერიტორიაზე მდებარე ფართების სარგებლობის უფლებით გადაცემა **14 და 15 თებერვალს,** ღირებულებამ კი 6000 ლარი შეადგინა. მიღება-ჩაბარების აქტში ვკითხულობთ, რომ ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება 2017 წლის **14-15 დეკემბერს** მიიღო. აღსანიშნავია, რომ შპს "სპორტმშენსერვისი" 100%-ით სახელმწიფო შპს-ა და მისი წილების მმართველი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროა. აღნიშნული შპს ფლობს დიდი რაოდენობის ფართებს ჭავჭავაძის 49ა-ში, სადაც მდებარეობს ჭიდაობის ფედერაცია და მათ დიდ ნაწილს იჯარით გასცემს.

---

[2] ამასთან, აღსანიშნავია რომ სასტუმროს მომსახურების გამწევი კომპანია შპს "ათლეტიკი თ და ნ", იგივე სასტუმრო ათლეტიკსი მდებარეობს თბილისში, წერეთლის 95 ა-ში. ამ მისამართზე რეგისტრირებული უძრავი ქონება ეკუთვნის საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციას, რომელსაც იჯარით აქვს გაცემული ფართი შპს "ათლეტიკ თ და ნ"-ზე, სადაც განთავსებულია სპორტული სასტუმრო. აღნიშნულ შპს-სთან 2016-2018 წლებში 11 ათას ლარზე მეტი ღრებულების პირდაპირი სახელმწიფო შესყიდვებია გაფორმებული. უმეტეს შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციები ძირითადად რეგიონული სპორტული კლუბები არიან, უმრავლეს შემთხვევში კი შემსყიდველი ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბია. ხელშეკრულებებს ხელს აწერს მისი დირექტორი, ზიზიგმუნდ ზილბერშტეინი, რომელიც თავის მხრივ მძლეოსნობის ერთ-ერთ დისციპლინაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელია.
რაც შეეხება შპს "ათლეტიკი თ და ნ"-ს მიერ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობას, ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევა ფიქსირდება, საიდანაც ერთ-ერთ საკმაოდ მსხვილ (13 ათასი ლარი) ტენდერში, რომელიც. 2018 წლის ოქტომბერში გამოცხადდა და შემსყიდველი <u>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი</u> იყო. "ათლეტიკი თ და ნ"-მ წინადადება საკუთარი ინიციატივით გამოიტანა. თუმცა, ტენდერში დარჩა და გაიმარჯვა კომპანიამ ანალოგიური სახელით "ათლეტიკი ნთ", რომელსაც სახელის გარდა იდენტური სატენდერო დოკუმენტაცია ჰქონდა შეტანილი, ასევე მეორდებოდა კომპანიის მისამართი და საკონტაქტო პირები. როგორც სამეწარმეო რეესტრის მონაცემები გვაჩვენებს, ამ ორ კომპანიას ერთი და იგივე დამფუძნებლები ჰყავდათ, თუმცა მეორე კომპანიის შექმნიდან რამდენიმე თვეში, დამფუძნებლებმა პირველ კომპანიაში წილები სხვა პიროვნებას გადასცეს. 2018 წლის მარტიდან დღემდე, ამ კომპანიასთან 4 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაა დადებული, აქედან სამ შემთხვევაში შემსყიდველი ისევ ახლციხის მძლეოსნობის კლუბია.

- მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებები თასების, მედლების და დიპლომების დამზადებაზე, ასევე მედიკამენტებისა და საკანცელარიო საქონლის შეძენაზე. აღნიშნული საქონლის ფასი ჯამურად 4,510 ლარია და ხარჯის გაწევის ერთადერთი დამადასტურებელი დოკუმენტი ეროვნული ნაკრების მწვრთნელებისა და ექიმის ხელმოწერილი ჩამოწერის აქტია.

2. თავისუფალ და ბერძნულ რომაული სტილით მოჭიდავეების სპორტული ფორმებით ეკიპირება:

- საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაგზავნილი დოკუმენტი 2018 წლის 14 მარტით თარიღდება. წერილში აღნიშნულია, რომ 2017 წლის 7 მარტის წერილის თანახმად თავისუფალ და ბ/რ ჭიდაობაში სპორტსმენების (დიდები, 23 წლამდელები, ახალგაზრდები და ჭაბუკები) სპორტული ფორმებით ეკიპირებისათვის ჩარიცხული 126,833 ლარიდან დაიხარჯა 105,803 ლარი, ეკონომიამ კი შეადგინა 21,029 ლარი.

  აქვე მითითებულია, რომ **საბუთების სრულყოფილად არ ქონის გამო ამ დრომდე ვერ მოხერხდა გასული 2017 წლის სპორტული ღონისძიებების ხარჯების ატვირთვა.** ამ ეტაპზე უცნობია, შემდგომ მოხდა თუ არა აღნიშნული დოკუმენტაციის სამინისტროსთვის მიწოდება, თუმცა თავად ფაქტი, რომ ფედერაცია 1 წლის შემდეგ ვერ ახერხებს ფინანსური ანგარიშების მიწოდებას, აჩენს კითხვებს და მიუთითებს საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემაზე.



საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია
NATIONAL WRESTLING FEDERATION OF GEORGIA

No 133
14.03.2018 წ

საქართველოს კულტურისა და სპორტის
მინისტრს ბ-ნ. მ. გიორგაძეს

პატივნი მიხვილ.

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 07მარტისNo340 წერილის თანახმად, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში (დიდები,23 წლამდელები ახალგაზდები და ჭაბუკები)სპორტული ფორმით (ეკიპირებით) უზრუნველყოფა ჩარიცხული თანხა 126833ლარი აქტიურმა შეადგინა 105803,74ლარი ,ეკონომია 21029,26ლარი.

აქვემოგახსენებთ რომ საბუთების სრულიფილად არ ქონის გამო ამ დროამდე ვერ მოხერხდა გასული (2017) წლის სპორტული ღონისძიებისთვის დაკავშირებული ფაქტიური ხარჯის აღგირითვა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და ჩაგვითვალოთ

დანართის რაოდენობა (37) ფურცელი

პატივისცემით,
პრეზიდენტი

6624
14 03 2018 წ

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა; ტელ.: +995 32 2 293 895; მობ.: +995 599 02 80 08
49a Chavchavadze Ave., Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 2 293 895; Mob.: +995 599 02 80 08
geo@unitedworldwrestling.org; www.wrestling.ge; GeoWrestling

- სპორტული ფორმების საქართველომდე ტრანსპორტირებაში ფედერაციამ **12,517** ლარი გადაიხადა, ხოლო ადგილობრივ ტრანსპორტირებაში, ანუ ქალაქ თბილისის საბაჟოდან ჭიდაობის ფედერაციის შენობამდე ეკიპირების ტრანსპორტირებაში - **8,276 ლარ**ი. ხელშეკრულებაშიც და მიღება ჩაბარების აქტშიც ჩანს, რომ მომსახურება ერთი თვის განმავლობაში შესრულდა, კერძოდ კი 2017 წლის 25 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით, რაც საკმაოდ გაუგებარს ხდის აღნიშნული მომსახურების ფორმას, თუმცა, თუ ვივარაუდებთ რომ საქონელი სხვადასხვა დროს ჩამოდიოდა და შემსრულებელს თითოეულ ჯერზე უწევდა ტვირთის წამოღება, მაინც გაურკვეველი რჩება, რამ გამოიწვია თბილისის მასშტაბით ტრანსპორტირების ასეთი მაღალი ფასი, რომელიც უცხოეთიდან ტრანსპორტირების თანხას უახლოვდება.

3. ბ/რ, თავისუფალ და ქალთა ჭიდაობაში ეროვნული ასაკობრივი ნაკრები გუნდების საჭიდაო მაისურებით უზრუნველყოფა:

- აღნიშნული აქტივობისთვის გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით სამინისტროსათვის მიწოდებულია მხოლოდ 1 ხელშეკრულება, ფორმების დაბრენდვასთან დაკავშირებით და ამავე ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტი. რაც შეეხება ეკიპირების შეძენას, იმპორტს და თბილისის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებას, ასეთი ხელშეკრულებები მოწოდებული არ არის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არც საერთო ხარჯთა გაანგარიშებაშია მითითებული თბილისის ტერიტორიაზე ტრანსპორტირება, რაშიც ფედერაციამ იმავე პერიოდში 8 ათას ლარზე მეტი გადაიხადა.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წარდგენილი მცირე ფინანსური დოკუმენტაციის ანლიზმაც შესაძლებელი გახადა გამოევლინა ფინანსური დოკუმენტაციის ფაქტობრივი შეცდომებით წარმოების, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევები. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ფედერაციაში არსებული ფინანსური დოკუმენტაციის სრულფასოვანი შესწავლის შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი ფინასური დარღვევების აღმოჩენის წინაპირობას წარმოადგენს.

სპორტსმენების ნაჩვენები შედეგებისთვის დაწესებული ფულადი ჯილდოების განკარგვის პრაქტიკა

2014 წლის 6 ინავარს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა, საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სპორტულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგების მიხედვით, სპორტსმენებისთვის, მწვრთნელებისთვის, ნაკრები გუნდების საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალისთვის დაწესდა ფულადი პრიზები.

დადგენილების მიხედვით, სპორტსმენთა პირად მწვრთნელებს და ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს მიეცეთ თითოეულს პირად შეჯიბრებებში მიღწეული შედეგისათვის სპორტსმენებისათვის განსაზღვრული თანხის 50-50%, საექიმო პერსონალს - 30%, ხოლო სპორტული ფედერაციების ადმინისტრაციულ ჯგუფს 10%.

1. ოლიმპიურ თამაშებზე:

ა) I ადგილი – 170 000, გუნდური პირველობა – 340 000;

ბ) II ადგილი – 102 000, გუნდური პირველობა – 204 000;

გ) III ადგილი – 68 000, გუნდური პირველობა – 136 000;

დ) IV ადგილი – 20 400, გუნდური პირველობა – 40 800;

ე) V ადგილი –13 600, გუნდური პირველობა – 27 200;

ვ) VI ადგილი – 6 800, გუნდური პირველობა – 13 600.

2. მსოფლიოს ჩემპიონატებზე:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 85 000, გუნდური პირველობა – 170 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 68 000, გუნდური პირველობა – 136 000;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 51 000, გუნდური პირველობა – 102 000.

3. ევროპის ჩემპიონატებზე:

ა) I ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 51 000, გუნდური პირველობა – 102 000;

ბ) II ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 34 000, გუნდური პირველობა – 68 000;

გ) III ადგილი (პირადი, პირად-გუნდური) – 25 500, გუნდური პირველობა – 51 000.

2015-2018 წლებში, დადგენილების შესაბამისად, ფულადი ჯილდოების სახით გაცემულია 13 მილიონ 700 ათას ლარზე მეტი. აქედან თავისუფალ ჭდაობაზე დაახლოებით 8 მლნ ლარია დახარჯული, ხოლო ბერძნულ-რომალ ჭიდაობაზე თითქმის 2-ჯერ ნაკლები - 4.4 მლნ ლარი. მილიონ ლარამდე თანხაა გადაცემული სპორტსმენებზე ოლიმპიურ თამაშებზე ლიცნეზიის მოპოვებისათვის, ხოლო დაახლოებით 150 ათასი ლარი გაცემულია ინდივიდუალურ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე, მოპოვებული გამარჯვებისათვის მიღებული ფულადი ჯილდოს შესავსებად.

რაც შეეხება თანხების გადანაწილებას უშუალოდ სპორტსმენებზე, მათ მწვრთნელებსა და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ადმინისტრაციულ ჯგუფზე, ოთხივე წლის განმავლობაში თანხები ასე გადანაწილდა.



სპორტულ შეჯიბრებებში დაწესებული ფულადი პრიზების ოდენობა და მისი მიმღებთა სია, მნიშვნელოვან დამატებით მოტივაციას და ინტერესს წარმოადგენს როგორც სპორტსმენისათვის ასევე, მწვრთნელებისათვის თუ ფედერაციის ადმინისტრაციული ჯგუფისთვის. მსგავსი დაფინანსების მოცულობის და ფედერაციის გაუმჭვირვალე საქმიანობის პირობებში, არსებობს მნიშვნელოვანი რისკები მთავრობის დადგენილების შესაბამისად გამოყოფილი თანხების არამიზნობრივ განკარგვასთან დაკავშირებით.

მაგალითად, 2018 წელს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგების შესაბამისად, ადმინისტრაციულ ჯგუფს უნდა დარიცხვოდა 63,580 ლარი. ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის მიწოდებული დოკუმენტაციის შესაბამისად, ყველაზე დიდი თანხა დაირიცხა ფედერაციის ფინანსურ მრჩეველზე - 12,980 ლარი. ინსტიტუტისთის უცნობია, თუ რის საფუძველზე იქნა მიღებული ფედერაციის პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილება, ფინანსური მრჩევლისთვის ყველაზე დიდი წილის განაწილების შესახებ.

	სახელი/გვარი	თანამდებობა	ხელზე ასაღები	დარიცხული	
			50,864.00	63,580.00	
1		სანტექნიკი/საქმეთა მმართველი	1,000.00	1,250.00	
2		დამლაგებელი	1,000.00	1,250.00	
3		დამლაგებელი	1,000.00	1,250.00	
4		მეგარდიროობე	1,000.00	1,250.00	
5		მეგარდიროობე	1,000.00	1,250.00	
6		სოციალური მედიის მენეჯერი	1,500.00	1,875.00	
7		მენეჯერი /ზერძნულ-რომაულ ჭიდაობაში	1,800.00	2,250.00	
8		მენეჯერი /თავისუფალ ჭიდაობაში	1,800.00	2,250.00	
9		კანცელარიის უფროსი	4,000.00	5,000.00	
10		სპეციალისტი საერთაშორისო ურთიერთობის	1,800.00	2,250.00	
11		მთავარი ბუღალტერი	4,000.00	5,000.00	
12		ფინანსური მრჩეველი	10,384.00	12,980.00	
13		იურისტი	1,080.00	1,350.00	
14		ადმინისტრაციის უფროსი	4,000.00	5,000.00	
15		ტექნიკური მენეჯერი თავისუფალ ჭიდაობაში	1,500.00	1,875.00	
16		ტექნიკური მენეჯერი თავისუფალი გოგოები	1,500.00	1,875.00	
17		ზერძნულ-რომაული ტექნიკური მენეჯერი	2,000.00	2,500.00	
18		სამეურნეო საწყობის უფროსი/მძღოლი	1,500.00	1,875.00	
19		ფოტოგრაფი	1,000.00	1,250.00	
20		გენ.მდივანი	4000	5000	
21		ვიცე პრეზიდენტი	2000	2500	
22		ვიცე პრეზიდენტი	2000	2500	

ანტიდოპინგურ შემოწმებაზე „ჩავარდნილ“ მოჭიდავეზე გაცემული ფულადი პრიზები

სპორტულ შეჯიბრებაზე მიღწეული საპრიზო შედეგის გაუქმების და დისკვალიფიკაციის მიცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევა. კვლევის ფარგლებში, IDFI შეეცადა გამოერკვია, რა სამართლებრივი რეგულაციები და პრაქტიკა არსებობს ანტიდოპინგური შემოწმებაზე ჩავარდნილი სპორტსმენებისათვის, მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დაწესებული ფულადი პრიზების გაცემა/ჩამორთმევის თვალსაზრისით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს ცალკე სამართლებრივი აქტი რომელიც დაარეგულირებს, ანტიდოპინგურ შემოწმებაზე „ჩავარდნილ“ სპორტსმენებზე ფულადი პრიზების გაცემა/ჩამორთმევის საკითხებს.

წინამდებარე თავში განხილულ იქნება IDFI-ს მიერ გამოვლენილი შემთხვევა, როდესაც **2018 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე ადგილოსანს ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის ჩამოერთვა ბრინჯაოს მედალი და მისი ჩამორთმევიდან დაახლოებით 3 თვის შემდეგ ამ შედეგისთვის დადგენილების შესაბამისად (სპორტსმენზე, მწვრთნელზე, საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალზე) გაიცა 61 200 ლარის ოდენობის ფულადი პრიზები.**

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს ინფორმაციით, 2015-2018 წლებში, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის სახელით მოასპარეზე მოჭიდავეებიდან,

მხოლოდ ერთმა მოჭიდავემ დაარღვია ანტი-დოპინგური წესები; კერძოდ, 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ბრინჯაოს მედალოსანს შემოწმების დროს აღმოაჩნდა აკრძალული ნივთიერება, რის გამოც **2018 წლის 15 მაისიდან** შეეფარდა 10 თვიანი დისკვალიფიკაცია და ჩამოერთვა ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი.

GEORGIAN ANTI-DOPING AGENCY

GADA

საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო

საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის 11, ტელ: 393089,
11, Machabeli str. Tbilisi 0105, Georgia, Tel.: +995323930 89;
E-mail: infogada@gmail.com www.gada.ge

N 23

28.02.2019

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრს ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

ბატონო მიხეილ,

თქვენი წერილის **MES 3 19 00229380**. 26.02.2019 გაცნობებთ რომ, 2015-2018 წლის პერიოდში საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის სახელით მოასპარეზე მოჭიდავეებიდან (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილი) მხოლოდ ერთმა მოჭიდავემ დაარღვია ანტი-დოპინგური წესები.
2018 წელს, ეროვნული ანტი-დოპინგური ტესტირების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტესტირების შედეგად მოჭიდავეს შარდში აღმოაჩნდა მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ აკრძალული ნივთიერება, რის გამოც მას შეეფარდა 10 თვიანი დისკვალიფიკაცია. (15.05.2018-15.03.2018), ასევე ჩამოერთვა 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი.
მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს პერსონალური ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის (2018) მოთხოვნების საფუძველზე, სპორტსმენის თანხმობის გარეშე, არ გვაქვს უფლება მისი პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროების.

საქართველოს ანტი-დოპინგურმა სააგენტომ, პერსონალური მონაცემების დაცვის საფუძვლით, დაფარა ანტიდოპინგურ შემოწმებაზე ჩავარდნილი მოჭიდავის ვინაობა. თუმცა, 2018 წლის თავისუფალი და ბერძნულ რომაული სტილით ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგების და მთავრობის დადგენილებით გადარიცხული თანხების

რაოდენობრივი ანალიზი, საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ რამდენად შეეხო შედეგის გაუქმება, მისთვის განსაზღვრული ფულადი პრიზის გაუქმებას.

2018 წლის 4 და 12 მაისს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული შემაჯამებელი შედეგების მიხედვით, 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ რომაული სტილით მოჭიდავეებმა მოიპოვეს 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი, ხოლო თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 2 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი. შესაბამისად, 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე ორივე სტილით მოჭიდავეებმა სულ მოიპოვეს 8 ბრინჯაოს მედალი, საიდანაც ერთი ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის ჩამოერთვა.

6 მედალი და გუნდური მეორე ადგილი ევროპის ჩემპიონატიდან

11:31 | May 04 2018

1 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო - ასეთია საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით ნაკრების მონაგარი 30 აპრილს რუსეთის ქალაქ კასპიისკში დაწყებულ კონტინენტის პირველობაზე.

ევროპის ჩემპიონი რობერტ კობლიაშვილი (87 კგ) გახდა, ვერცხლის მედალს შმაგი ბოლქვაძე (67 კგ) დაეუფლა, ბრინჯაოს მედლები ნუგზარ წურწუმიამ (55 კგ), დავით ჩხარტიშვილმა (60 კგ), იური ლომაძემ (72 კგ) და იაკობ ქაჯაიამ (130 კგ) მოიპოვეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა 127 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, პირველზე მასპინძელი რუსეთი გავიდა 169 ქულა, მესამეზე აზერბაიჯანი 113 ქულა.

ამონარიდი საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვებგვერდზე განთავსებული 2018 წლის 4 მაისის სიახლიდან, სადაც შეჯამებულია 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეების შედეგები - http://wrestling.ge/NewsPage/Item/586

12:46 | May 12 2018

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ევროპის 2018 წლის ჩემპიონატი 6 მედლით ჩაამთავრა. ვლადიმერ ხინჩეგაშვილის (65 კგ), ზურაბ იაკობიშვილისა (70 კგ) და ელიზბარ ოდიკაძის (97 კგ) მიერ გუშინ მოპოვებულ ბრინჯაოებს, დღეს თავისი წილი მედლები მიუმატეს ბექა ლომთაძემ (61 კგ), სანდრო ამინაშვილმა (86 კგ) და გენო პეტრიაშვილმა (125 კგ). ლომთაძემ და პეტრიაშვილმა ფინალში იჭიდავეს და პოდიუმის უმაღლეს საფეხურამდე ორივეს გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდა, ხოლო ამინაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

კასპიისკის ხალიჩაზე ბექა ლომთაძემ ფინალის გზაზე ორივე მეტოქე რუმინელი ივან გუიდეა (11:0) და აზერბაიჯანელი მირჯალალ ჰასან ზადა (12:0) აშკარა უპირატესობით ჩამოიშორა. ფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ ჰაჯიმურატ რაშიდოვთან 1:4 დათმო შეხვედრა და კარიერაში ევროპირველობაზე მეორე მოიპოვა ვერცხლის მედალი.

ამონარიდი საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვებგვერდზე განთავსებული 2018 წლის 12 მაისის სიახლიდან, სადაც შეჯამებულია 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეების შედეგები - http://wrestling.ge/NewsPage/Item/588

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2018 წლის 29 ივნისს, საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ, სამინისტროს მიმართა თხოვნით ევროპის ჩემპიონატებზე ნაჩვენები შედეგების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით

მომხდარიყო საპრიზო თანხების ჩარიცხვა. ჭიდაობის ფედერაციის 29 ივნისის წერილში ფულადი პრიზების მიმღებთა სიაში ვხვდებით ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატის 8-ვე მესამე ადგილოსანს. **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ წერილის გაგზავნის მომენტისათვის, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მესამე ადგილოსანს ანტიდოპინგურ ტესტზე „ჩავარდნის“ გამო ჯერ კიდევ თვენახევრის წინ ჰქონდა ჩამორთმეული მედალი და 10 თვიანი დისკვალიფიკაცია მიცემული.**

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ, ევროპის ჩემპიონატების საპრიზო თანხების მიღებასთან დაკავშირებით გარკვეული დაზუსტებების მიზნით, 2018 წლის 9 და 10 ივლისს, სამინისტროს დამატებით გაეგზავნა გარკვეული დოკუმენტაცია. თუმცა, ეს დაზუსტებები არ შეხებია საპრიზო თანხის მიმღებ მესამე ადგილოსანთა სიას.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, 2018 წლის 24 აგვისტოს განათლების, მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტრომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, გაუგზავნა ფულადი პრიზების გაცემის შესახებ მთავრობის განკარგულების პროექტი. თავის მხრივ საქართველოს მთავრობამ იმავე წლის 29 აგვისტოს უზრუნველყო განკარგულების დამტკიცება და თანხების ჩარიცხვა.



საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია
NATIONAL WRESTLING FEDERATION OF GEORGIA

№ 429
29/06/2018 წ.

საქართველოს კულტურისა და სპორტის
მინისტრს ბ-ნ მიხეილ გაორგაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია მოგმართავთ თხოვნით 2018 წლის ევროპის ჩემპიონატებსა (დიდები, ოცდაექვსწლადელები) და პირველობებზე (ჭაბუკები) ნაჩვენები შედეგების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N39 დადგენილების მიხედვით, საპრიზო თანხები ჩარიცხოთ ბერძნულ-რომაულ, თავისუფალ და ქალთა ჭიდაობაში საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების წევრებსა და ფედერაციის ადმინისტრაციას. გთხოვთ პრემია ჩარიცხოთ ფედერაციის ტერა ბანკის ანგარიშწორების ანგარიშზე.

აქვე გთხოვთ ოცდაექვსწლამდელთა ასალგაზრდული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ს, პრემიალური თანხა ჩარიცხოთ წერილზე თანდართულ სანანკო ანგარიშზე.

დანართი 60 გვერდად.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.

პატივისცემით,

ფედერაციის პრეზიდენტი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი
MINISTER OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 0 18 01039496

24/08/2018

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის
უფროსს, ბატონ კახა კახიშვილს

ბატონო კახა,

წარმოგიდგენთ „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ფულადი პრიზების გაცემისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს („ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში რეგისტრაციის N27662, 22/08/2018).

გთხოვთ, საკითხი შეიტანოთ საქართველოს მთავრობის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

დანართი: 63 ფურცელი და DVD დისკი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
მინისტრი
მიხეილ ბატიაშვილი



	273,700
	170,000
II ადგილი	34,000
II ადგილი	34,000
III ადგილი	25,500
III ადგილი	25,500
III ადგილი	25,500
III ადგილი	25,500

	382,100
	221,000
II ადგილი	34,000
I ადგილი	51,000
II ადგილი	34,000
III ადგილი	25,500
III ადგილი	25,500
III ადგილი	25,500
III ადგილი	25,500

ამონარიდები საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს N1734 განკარგულებიდან, რომლის მიხედვით სხვადასხვა სახეობებში მიღწეული შედეგებისათვის გაიცა ფულადი პრიზები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათი დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში, არ იძებნება ოფიციალური შეტყობინება, რომელიც დაკავშირებულია 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე რომელიმე სპორტსმენის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევასთან, მისთვის 10 თვიანი დისკვალიფიკაციის მიღებასთან და 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული მედლის ჩამორთმევის თაობაზე. შესაბამისად, სამინისტრო, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისგან არ იყო ინფორმირებული სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევისა და მედლის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია ასევე, გამხდარიყო, მესამე ადგილისთვის დადგენილი ფულადი პრიზების არ გაცემის საფუძველი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 0 19 00540750

08/05/2019

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
აღმასრულებელ დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს
ელ. ფოსტა: foi@idfi.ge

ბატონო გიორგი,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენ წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის N478975; 25.04.19) დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში ოფიციალური წერილობითი შეტყობინება (2018 წლის ევროპის ჩემპიონატთან მიმართებით) რომელიმე სპორტსმენის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის, მისთვის 10-თვიანი დისკვალიფიკაციის მიცემისა და 2018 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული მედლის ჩამორთმევის თაობაზე არ იძებნება.

ასევე გაცნობებთ, რომ რაიმე ცალკე სახის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი არ არსებობს და არც „საქართველოს სპორტსმენთა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N39 დადგენილება ითვალისწინებს კონკრეტულ ჩანაწერს ხსენებული საკითხის თაობაზე,

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში წარმოდგენილი მოთხოვნიდან გამომდინარე ძებნა ხდება ერთ-ერთი სავალდებულო ველის "თემის" მიხედვით, შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის დაკონკრეტებისა და დაზუსტების შემთხვევაში, გამოვხატავთ მზადყოფნას, მოგაწოდოთ ნებისმიერი ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად არ არის რეგულირებული ანტი-დოპინგური წესების დამრღვევი სპორტსმენებისათვის ფულადი პრიზების გადაცემა/ჩამორთმევის საკითხი, სპორტსმენისათვის მიღწეული შედეგის გაუქმების შემდეგ, ფულადი ჯილდოს გადაცემა შესაძლებელია შეფასდეს, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვად.

დასკვნა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან მიღებული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები, რაც ეჭვქვეშ აყენებს ფედერაციის მიერ ფინანსების რაციონალურ განკარგვას და წარმოშობს კორუფციის მნიშვნელოვან რისკებს. ამ რისკებს, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ფედერაციაში ფინანსური გამჭვირვალობის, სათანადო კონტროლის და შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების არ არსებობა.

კვლევაში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია ფედერაციის მიერ სამინისტროში წარდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის შეუსაბამობებთან, ინტერესთა კონფლიქტის სავარაუდო ფაქტებთან, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვასთან და სამინისტროსთან არსებული ვალდებულებების უგულვებელყოფასთან, ცალსახად მიუთითებსფედერაციაში ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვისა და საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე კონტროლის გამკაცრების აუცილებლობაზე.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მაგალითზე, წარმოდგენილი კორუფციისა და ფინანსების არამიზნობრივი განკარგვის რისკები, შესაძლებელია განხილულ იქნას საქართველოს სპორტის სფეროში არსებულ საერთო გამოწვევად, რომლის აღმოფხვრის გზები მიზანშეწონილია ასახულ იქნას საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ლონდონში გამართულ მსოფლიოს პირველ ანტიკორუფციულ სამიტზე საქართველოს ხელიფსუფლებამ გამოთქვა მზაობა კორუფციის პრევენციის მიზნით შეერთებოდა სპორტის კეთილსინდისიერების საერთაშორისო პარტნიორობას (International Sport Integrity Partnership). 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შეფასების ბოლო 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები პარტნიორობაში საქართველოს გაწევრიანების კუთხით, თუმცა ეს პროცესი არ არის დასრულებული და საჭიროებს შემდგომი მუშაობის გაგრძელებას.

კვლევაში მოყვანილი გამოწვევების გათვალისწინებით, IDFI მიზანშეწონილად მიიჩნევს:

- განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული ფედერაციების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების დადგენას;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უზრუნველყოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის შემოწმების განხორციელება, სადაც განსაკთრებული ყურადღება მიექცევა 2017-2018 წლებში ფინანსების მიზნობრივ განკარგვას;

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ჭიდაობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯებზე და ფედერაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაზე კონტროლის გამკაცრება;

- სამართლებრივად მოწესრიგდეს ანტიდოპინგურ შემოწმებაზე „ჩავარდნილი“ სპორტსმენებისათვის ფულადი ჯილდოების გაცემა/ჩამორთმევის საკითხები.

- საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში სპორტის სფეროში გათვალისიწნებულ იქნეს სპორტულ ფედერაციებში გამჭვირვალობის და დამატებითი ანტიკორუფციული კონტროლის მექანიზმების დანერგვის საკითხები.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ა. გრიბოედოვის ქ. №3 • თბილისი 0108 • საქართველო
ტელ: + 995 32 2 92 15 14 • ელ-ფოსტა: info@idfi.ge
WWW.IDFI.GE